პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 148 (6203)

1978 წ. 30 ივლისი, კვირა

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

30 ივლისი სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეა

# დიდი წარმატება

## ქართველ მოჭიდავეთა „ოქრო", „ვერცხლი" და „ბრინჯაო"

ლიეპაიაში გრძელდება ჩვენი ქვეყნის პირველობა ჭიდაობა ძიუდოში. შეჯიბრების მეორე დღე ქართველი სპორტსმენის ბორის გოგიჩაშვილის დიდი წარმატებით აღინიშნა. 86 კგ წონით კატეგორიაში ფინალურმა ასპარეზობამ დიდი ინტერესი გამოიწვია. ერთმანეთის პირისპირ დადგნენ ევროპის ჩემპიონი რიგელი ა. იაცკევიჩი და გორელი ფალავანი. ორივე ათლეტი პირველად გამოდიოდა მოზრდილთა ჩემპიონატში, ორივე ოცი წლისაა. შეუპოვარ ორთაბრძოლაში ქულებით გაიმარჯვა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა. ბ. გოგიჩაშვილი სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალს დაეუფლა, ვერცხლი იაცკევიჩს ხვდა წილად. ბრინჯაოს მედლები ერგოთ მსოფლიო ჩემპიონს ჭიდაობა სამბოში ომსკელ ა. პუშნიცას და ფრუნზელ ი. აბდუჯალილს.

კიდევ ერთმა ქართველმა სპორტსმენმა იასპარეზა ფინალურ შერკინებაში. 78 კგ წონით კატეგორიაში ჩემპიონის ტიტული მოიპოვა ქვეყნის შარშანდელმა ბრინჯაოს პრიზიორმა კიეველმა ვ. ბიჩენოკმა. ვერცხლი თბილისელ მალხაზ ალგორიშვილს ხვდა წილად. ამ წონაში ბრინჯაოს მედალს თბილიელი ძიუდოისტი დილარ ხაბულიანი დაეპატრონა, მეორე ბრინჯაო ერევნელ ა. არუთინიანს ერგო.

# ხვალ, ბრაშოვის კორტებზე

რუმინეთის ქალაქ ბრაშოვის კორტებზე ხვალ სტარტს აიღებს ჩოგბურთელთა რიგით მე-10 ევროპის ჩემპიონატი. ამ ასპარეზობაში საბჭოთა გუნდს სათავეში უდგანან კონტინენტის ჩემპიონატის შარშანდელი გამარჯვებულები — თბილისელი ა. მეტრეველი და დონეცკელი მ. კროშინა. საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში არიან, აგრეთვე, მოსკოველები ე. გრანატუროვა და ნ. ჩმირიოვა, რიგელი ი. შევჩენკო და საქართველოს დედაქალაქის მეორე წარმომადგენელი თ. კაკულია. საბჭოთა სპორტსმენები იასპარეზებენ ახალგაზრდულ შეჯიბრებებშიც, რომლებიც ძირითადი ტურნირის პარალელურად გაიმართება.

საბჭოთა ჩოგბურთელები ევროპის ყველა ჩემპიონატის მონაწილეები არიან. ამასთან რვაჯერ მათ გაიმარჯვეს გუნდურ ჩათვლაში. გასულ წელს მარიბორში (იუგოსლავია) მათ ხუთიდან ოთხი ჯილდო მოიპოვეს.

— ახლა საბჭოთა ჩოგბურთელების შანსებზე რაიმეს თქმა ძნელია, რამდენადაც ბრაშოვის ტურნირი ევროპის პირველი ღია ჩემპიონატია, რომელშიც პროფესიონალებიც გამოვლენ, — რუმინეთში გამგზავრების წინ თქვა სსრ კავშირის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა შ. ტარპიშჩევმა. — მაგრამ ჩვენ მაინც იმედი გვაქვს მივაღწიოთ კარგ გუნდურ შედეგს.

(საკდესი).

ზაფხული-78



სიღნაღის რაიონი, სოფელი ბოდბე, სკოლა-ინტერნატი. ასეთია თბილისის განათლების განყოფილების კალათბურთის სპეციალიზებული სკოლის სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკის მისამართი. აქ წლეულს 150-მდე ნორჩი სპორტსმენი ისვენებს, სხეულს იკაჟებს, სპორტულ ოსტატობას ხვეწს. კალათბურთელებთან ერთად საბანაკო ცხოვრებაში ხელბურთელებიც არიან ჩაბმული. ბანაკში ყოველი დღე სპორტით იწყება და სპორტით მთავრდება.

ჩვენი სპეციალური კორესპონდენტის მ. ზარბარიანის ფოტოსურათები სწორედ ბანაკის სპორტულ ცხოვრებაზე მოგვითხრობენ.





## სოფლის სპორტი: პრობლემები, პერსპექტივები...

... ჩვენდა სამწუხაროდ, ბევრ, ეკონომიკურად მოწინავე რაიონებშიც კი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელები არ იჩენენ ჯეროვან ზრუნვას კლუბების, ბიბლიოთეკების, წითელი კუთხეების, სპორტული ბაზებისათვის...

რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის 1978 წლის 26 ივლისის კრების მასალებიდან.

# ჩემი მესხეთ-ჯავახეთი

ანტიკურმა ხანამ ძეგლი აუგო ადამიანის ფიზიკურ სილამაზეს, პირველ ოლიმპიურ თამაშებში გაამტკიცა სხეულის მშვენიერებისა და სიძლიერის პრიორიტეტი. შუა საუკუნეებმა კაცის შინაგან სამყაროს, სულიერ ცხოვრებას დაუთმო პირველობა. ჩვენმა საუკუნემ ამ ორი, ადამიანის ჰარმონიულობისთვის აუცილებელი მიმართულების სინთეზში დაინახა მომავალი.

სპორტი, ახლა ის მრავალმხრივი და, რაც მთავარია, სწორი განვითარების ქვაკუთხედად იქცა. სულიერი და ფიზიკური სიმტკიცე, ჯანმრთელობა და ამტანობა განუყოფელ ცნებებად ჩამოყალიბდა. ცხოვრება უამრავ დაბრკოლებას გვახვედრებს და კაცს მათ დასაძლევად ეს ყველაფერი ისევე სჭირდება, როგორც ჰაერი, პური, წყალი. სპორტი ერის სიმხნევის, გამთლიანებისა და ერთი მიზნისთვის დარაზმვის უებარი საშუალებაცაა.

ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობის ნახევარი სოფლად ცხოვრობს. დასამალი არ არის, რომ ამ მნიშვნელოვან უბანზე რიგი მიზეზების გამო სპორტული ცხოვრება საკმაოდ დუნედ მიიმართება — არ არის საკმარისი ბაზები, ინვენტარი, მწვავედ იგრძნობა სპეციალისტთა ნაკლებობა და, რაც უფრო სამწუხაროა, მოღვაწეობის ეს სფერო სავსებით დაუმსახურებლად მეორე, მესამეხარისხოვანთა კატეგორიას განეკუთვნება. მოკლედ, სოფლად სპორტმა ვერა და ვერ გაიდგა ფესვი და, ბუნებრივია, ვერც თავისი სათქმელი სიტყვა თქვა. არადა რამდენ კარგ საქმეს შეგვაძლებინებდა, რამდენი პრობლემის გადაჭრაში, რამდენი საჭირბოროტო საკითხის მოგვარებაში მოგვეხმარებოდა. თუნდაც ახალგაზრდობის სოფლიდან მიგრაცია... დღეს ბევრ ქვეყანაში არა ერთი და ორი სახელოვანი სპორტსმენი ეროვნულ გმირად არის აღიარებული; თავისუფლებისთვის, დამოუკიდებლობისთვის მებრძოლ ერებში სპორტი ამ ბრძოლის მძლავრ იარაღად იქცა. „სპორტი და პოლიტიკა განუყოფელია, სპორტი ჩვენი სახელმწიფოს პოლიტიკაა", — ასე განაცხადა ცნობილმა კუბელმა მორბენალმა, ოლიმპიურმა ჩემპიონმა ალბერტო ხუანტორენამ. ჩვენი საყვარელი გუნდებისა თუ სპორტსმენების წარმატება-წარუმატებლობა მნიშვნელოვანწილად განაპირობებს გულშემატკივრის, სპორტის მოყვარულის — მშრომელი კაცის გუნებაგანწყობას. სპორტსმენობაცა და თუნდ მარტო ქომაგობაც ბევრის, ძალზე ბევრის მოთხოვნილებად, ჩვენი ცხოვრების ორგანულ ნაწილად იქცა. და ამ პირობებში მკრეხელობაა ახალგაზრდა კაცი ყოველივე ამის მიღმა დატოვო. არც დარჩება. სპორტული სანახაობანი, ბაზები, ინვენტარი, სტადიონები, კარგი მწვრთნელები და სათანადო პროპაგანდა სჭირდება სოფელს.

ყოველი კულტურული ერი ძველთაგანვე ესწრაფვოდა სპორტს — სხეულისა და სულის გაკაჟების უებარ საშუალებას. მოძალადეთა განუწყვეტელი შემოსევებით გაბეზრებულმა ჩვენმა წინაპრებმა კი განსაკუთრებით კარგად იცოდნენ ფიზიკური ძალის, მოქნილობისა და სიჩაუქის ფასი. მესხეთ-ჯავახეთის უძველესი კულტურა, რომელიც დღეს, საქართველოს ამ მრავალჭირნახული კუთხის უმშვენიერეს ძეგლთა ნანგრევებიდანაც კი მთელი სიდიადით გამოსჭვივის, ნათლად მიგვანიშნებს იმაზე, რომ აქ დასახლებულ კაცს ოდითგან უყვარდა სპორტი. სხვანაირად წარმოუდგენელიცაა — აკი სწორედ მესხეთ-ჯავახეთის მიწაზე მცხოვრებ ქართველთა ხმალსა და მკერდს ელეწებოდა სამხრეთიდან წამოსული დუშმანი მახეილი, ულონო და უნდილი თაობა ხომ ვერასდროს შესძლებდა საქართველოს კარიბჭის დაცვასა და სამშობლოს შენარჩუნებას. აქ უთუოდ იყო განვითარებული სპორტის ისეთი ეროვნული სახეობები, როგორიცაა ქართული ჭიდაობა, ცხენოსნობა, ბურთაობა, სიმძიმეების აწევა და სხვა მრავალი, მაგრამ თავს დამტყდარმა ქარტეხილებმა მესხეთ-ჯავახეთში ძირფესვიანად ამოძირკვა საუკუნეთა მანძილზე ნასათუთევი ნიშანი ამ კუთხის სპორტული ტრადიციებისა. ეროვნულ სახეობათაგან იქ მხოლოდ ჭიდაობა შემორჩენილა და ისიც სახენაცვალი, გაუცხოებული, თითქმის აღარაფერი რომ არ შერჩენია ქართული, რაინდული ჭიდაობისა (ფალავნები უცხო წესით, წელზევით გაშიშვლებულები გამოდიან საასპარეზოდ)... მარტო ეს ფაქტიც კი ნათლად გვიჩვენებს იმ ისტორიულ სიდუხჭირეს, აქაურ კაცს რომ გადაუტანია. აი რას გვიამბობს იაკობ გოგებაშვილი თავის „ბუნების კარში": „დიდი ვაჟკაცობა და თავგანწირულობა გამოიჩინა მესხეთმა, მაგრამ მტრის სიმრავლისაგან ძლეულ იქმნა და იძულებული გახდა ოსმალეთს დამორჩილებოდა. ოსმალები ფიქრობდნენ: თუ მესხნი მართლმადიდებელ ქართველებად დარჩებიან, ამით რუსეთი უსათუოდ ისარგებლებს და ეცდება ფეხი ჩამოდგას ჩვენს ქვეყანაში. ამის გამო ოსმალებმა იმთავითვე სასტიკი დევნა დაუწყეს მესხების ენას, ჩვეულებასა და სარწმუნოებას. ამით უნდოდათ ქართველობა შეესუსტებინათ, გაექროთ და გაეთათრებინათ. თავად-აზნაურობა დაიქსაქსა აქედან და საქართველოს სხვა კუთხეებს შეეხიზნა. ხალხი ასწერეს და უწინდელზედ ბევრად მეტი ხარჯი დაადვეს, საეპისკოპოსოები და მონასტრები დასცეს და მათი ქონება და ავეჯეულობა მიითვისეს. ეკლესიების ნაცვლად მეჩეთები აღმართეს. ქართველი ქრისტიანე ხალხი დარჩა უწინამძღვროდ, უმოძღვროდ, უეკლესიოდ, უწიგნოთ და სასოწარკვეთილი, მწარედ დაჩაგრული ნელ-ნელა მიეცა მაჰმადიანობასა. ხოლო ბევრი აქაური ქართველი იმიტი ასცდა გამაჰმადიანებას, რომ ფრანგის, ან სომხის სარწმუნოება მიიღო"...

ქვეყანა დაინგრა. ხალხი დაიქსაქსა. ასეთ პირობებში, რასაკვირველია გაჭირდებოდა არამცთუ სპორტის ეროვნული სახეობების, არამედ თვით ენისა და კულტურის შენარჩუნებაც, მაგრამ ჭირნახულმა ქართველმა კაცმა მაინც შემოინახა მშობლიური ენა, დანგრევას გადაარჩინა ზარზმა და საფარა, მწვანე და საყუნეთი.

(დასასრული მე-2 გვ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემი მესხეთ-ჯავახეთი

## 1.

**მარტოკაცი** ჭამაშიც ცოდვააო, მით უმეტეს მოგზაურობაში. გადავწყვიტეთ, ერთად წავსულიყავით. არჩევანი მესხეთ-ჯავახეთზე შევაჩერეთ, რა თქმა უნდა, შემთხვევით არა. ეს კუთხე სასაზღვრო ზონად ითვლება და ბუნებრივია, რომ ერთგვარად მოკლებულია დიდ სპორტულ შეჯიბრებებს, ერთგვარად მოცილებულია რესპუბლიკის სპორტულ მაჯისცემას. ესეც არ იყოს, სახელოვანი წარსულის მქონე ეს მხარე კაცს გამუდმებით თავისკენ იზიდავს, თუნდაც იმით, რომ გეოგრაფიული მდებარეობის გამო საქართველოს ყველა ჭირმა პირველ რიგში და ყველაზე საგრძნობლად მესხეთ-ჯავახეთზე გადაიარა.

გადიოდა საუკუნეები და ეს უძველესი მიწა ხან ქართული კულტურის აკვნის დამრწევი იყო, ხან მნიშვნელოვანი პოლიტიკური ცენტრი, ხანაც სისხლის ტბორად ქცეული გავერანებული და გაპარტახებული ადგილი.

მესხეთ-ჯავახეთი.

ჩვენი მარშრუტი ძველი სამცხის მთავარ ქალაქში, ახალციხეში იწყება. ციხის გარდა ისტორიული და მხატვრული თვალსაზრისით საინტერესო თითქმის არაფერია. თვითონ ქალაქი უკვე XII-XIII საუკუნეთა მიჯნაზე იხსენიება. ძნელი წარმოსადგენია, რომ კულტურის უაღრესად მაღალი დონის მქონე შუასაუკუნეების მესხეთის ცენტრში საკულტო ნაგებობანი არ ყოფილიყო. ეს არის, ამდენი თავდასხმებისა და რბევის შედეგად ეს ძეგლები უთუოდ განადგურდა.

ქალაქის მოედანზე 1966 წელს გახსნილი შოთა რუსთაველის ძეგლი დგას. რუსთაველის კიდევ ერთი ძეგლია ბაღში, 1938 წელს აგებული. 1967 წელს ახალციხეში კვლავ დაარსდა ქართული თეატრი. ბოლო ხანებში კიდევ უფრო ინტენსიური ხდება რესპუბლიკის სხვა ქალაქებთან კულტურული კავშირი — ჩვენი იქ ყოფნის დროს ახალციხის თეატრში გასტროლებზე იმყოფებოდა თბილისის შაუმიანის სახელობის სომხური დრამატული თეატრი.

არაერთხელ თქმულა, რომ რაიონებში სპორტის ეროვნულ სახეობათა აღდგენა და დანერგვა სოფლად ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების ერთ-ერთ მთავარ საფუძველს წარმოადგენს. სწორედ ამიტომ მესხეთ-ჯავახეთში აუცილებლად უნდა აღსდგეს ქართული ჭიდაობა, მით უმეტეს, რომ ასპინძის რაიონის ერთ-ერთ უძველეს სოფელ ხიზაბავრაში ჯერაც არ დავიწყებიათ სპორტის ეს ეროვნული სახეობა და როგორც რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ ვასილ ცინაძემ გვითხრა, ხიზაბავრელები წლეულს, აგვისტოს ბოლოს აპირებენ ცნობილი ქართველი ფალავნის დავით ხიზამბარელის თასის გათამაშებას ქართულ ჭიდაობაში, სადაც ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონების ფალავნებსაც მიიწვევენ საასპარეზოდ.

ფიზკულტურა და სპორტი მესხეთ-ჯავახეთში საკმაოდ ჩამორჩება და ეს მხოლოდ სპორტის ეროვნულ სახეობათა მივიწყების ბრალი როდია.

საკავშირო შეჯიბრებებზე რომ არაფერი ვთქვათ, იქ იშვიათად იმართება რესპუბლიკური მნიშვნელობის ასპარეზობანი, რაც სხვა ობიექტურ მიზეზებთან ერთად სპორტული ბაზების უქონლობითაცაა გამოწვეული. ან კი რომელ შეჯიბრებაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა ახალციხეში ერთ დროს შესანიშნავი საჭადრაკო კლუბი დანგრევის პირზეა მისული, ხოლო სპორტსკოლის შენობა, რომელშიც, როგორც ამ სკოლის დირექტორმა ყ. გოგოლაძემ გვითხრა 230 ბავშვი ყოფილა გაერთიანებული, კარგა ხანია გამოკეტილია და შიგ არავის აჭაჭანებენ — ემანდ ჭერი არ ჩამოინგრეს და ქვეშ არავინ მოიყოლოსო.

ახალციხის საჭადრაკო კლუბის ავარიული მდგომარეობის შესახებ „ლელო“ 5 მარტის ნომერშიც იტყობინებოდა, მაგრამ ის პატარა წერილი, რომელსაც მამხილებელი ფოტოც თან ახლდა, დარჩა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. კლუბის შენობაში არა აქვთ ცენტრალური გათბობა და ახალციხელი ბავშვები ზამთარში პალტოჩაცმულები უსხედან საჭადრაკო მაგიდებს. ამ თითქოსდა უბრალო ფაქტიდან აშკარად ჩანს, თუ როგორ უყვართ ბავშვებს ჭადრაკი, ეს კი მათი მწვრთნელის, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის ვ. დათებაშვილის დიდი დამსახურება გახლავთ, რომელიც სრულიად უსასყიდლოდ ავარჯიშებს ნორჩ მოჭადრაკეებს. საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობს სოფელ წნისის მოჭადრაკეთა ჯგუფიც (მწვრთნელი ბ. გოგოლაძე). სპორტის ამ ენთუზიასტებს კი დახმარება და მხარში ამოდგომა სჭირდებათ.

ახალციხის „კოლმეურნის“ რაიონულ საბჭოში 14 ფიზკულტურული კოლექტივია გაერთიანებული, მაგრამ, სამწუხაროდ, სპორტული ბაზების სიმრავლით ვერც ისინი დაიკვეხნიან. როგორც ჩანს, ზოგიერთი მეურნეობისა თუ კოლმეურნეობის ხელმძღვანელს ჯერაც ვერ შეუგნია ფიზკულტურისა და სპორტის როლი თანამედროვე აგრარულ პრობლემათა გადაწყვეტის საქმეში. ალბათ ამიტომაცაა, რომ მუსხის კოლმეურნეობაში ვერა და ვერ დანიშნეს ფიზკულტურის მეთოდისტი, კარგა ხნის წინათ გამოყოფილ ტერიტორიაზე კი ჯერაც ვერ მოუწყვიათ ფეხბურთის უბრალო მინდორი. ფიზკულტურული მუშაობა ჩაშლილია ვალეს მახარაძის სახელობის კოლმეურნეობასა და წყალთბილის საბჭოთა მეურნეობაში, ხოლო აწყურის ღია საცურაო აუზში კარგა ხანია წყალს აღარ ასხამენ, რადგან ფიზკულტურის მეთოდისტი არა ჰყავთ და ეშინიათ შიგ არავინ დაეხრჩოთ. შედარებით უკეთაა საქმე აგარისა და სხვილისის საბჭოთა მეურნეობებში.

მიუხედავად ბაზების ასეთი უკმარობისა, ახალციხის რაიონში უყვართ სპორტი და იქაურ სპორტსმენებს, მართალია მოკრძალებული, მაგრამ მაინც თვალსაჩინო წარმატებებისთვის მიუღწევიათ. საკმაოდ კარგადაა განვითარებული მძლეოსნობა — ახალციხელი მოსწავლე ნ. ჭალიაშვილი საქართველოს მოსწავლეთა ნაკრები გუნდის წევრია. საქართველოს ნაკრების წევრები არიან მოკრივეები გ. შუშანიანი და ა. მარქარიანი. ახალციხელია საქართველოს რეკორდსმენი ძალოსნობაში ე. ჯანხოთელი. ფეხბურთელთა ადგილობრივი გუნდი „მესხეთი“ (მწვრთნელი გ. წილოსანი) კი საქართველოს პირველობის გათამაშების II ჯგუფის გუნდებს შორის ჯერჯერობით I ადგილზე იმყოფება. ეს წარმატებები იმის უცილობელი საწინდარია, რომ ახალციხელი სპორტსმენები შემდგომში უფრო მეტად ისახელებენ თავს, თუკი რაიონის ხელმძღვანელები ზრუნვას არ დაიშურებენ, რაც ამჟამად იქაურ ფიზკულტურელებს, რა დასამალია და, აშკარად აკლიათ.

ამას წინათ გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნდა მწერალ რევაზ ჯაფარიძის წერილი „გორგასალი“, საიდანაც შევიტყვეთ, რომ თბილისის უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებს ისტორიული ძეგლების დაცვ[illegible] შეუქმნია ნებაყოფლობითი გაერთიანება ზაფხულის არდადეგებს რესპ... ლიკის ტერიტორიაზე განლაგ... ული ისტორიული ძეგლების გა... ოვლინებას, აღდგენით სამუშაო... სა და დაცვას მოახმარებენ. ამ მ... რთლაცდა მამულიშვილურ საქმ... ერთსულოვნად უნდა დაუჭირ... მხარი სოფლის სპორტსმენებ... და პირველ რიგში კი ახალც... ხელმა, ადიგენელმა, ასპინძელ... და ახალქალაქელმა ფიზკულტურ... ლებმა — მესხეთ-ჯავახეთის ტერი... ტორიაზე ხომ მრავლადაა დან... რევის პირზე მისული ისტორიულ... ძეგლი, მოვლა-პატრონობა რო... სჭირდება. საქართველოში ძველ... თაგან დიდი ყურადღება ექცეო... წინაპართა ნაღვაწს, ძეგლების შ... მოგარენში იმართებოდა სხვადასხ... ასპარეზობანი, რითაც დიდი ერ... ოვნული საქმე კეთდებოდა — ჯერ ერთი, ბევრი რამ გადარ... დანგრევა-დაზიანებას და მეორე... ამ ასპარეზობებზე იწრთობოდა ა... ალგაზრდობა, სწავლობდა სამშობ... ლოს სიყვარულს, წინაპართა შრო... მის ფასს. ისტორიულ ძეგლთა შ... მოგარენში სპორტული ასპარე... ობების მოწყობა არც თუ ისეთ ს... ძნელო საქმეს წარმოადგენს, მი... უმეტეს, რომ ჩვენს რესპუბლიკა... ში კარგა ხანია არსებობს მსგავ... სი ტრადიცია: უკვე გვაქვს შოთ... ობა, გარეჯობა, ილიაობა, ვაჟა... ბა, სადაც დიდი სახალხო ზეიმ... სპორტული სანახაობის გარეშე არ... ჩაივლის. იმედია მესხეთ-ჯავახეთის... რაიონების ფიზკულტურელე... თავიანთ წვლილს შეიტანენ ამ... კუთხის მდიდარი კულტურის და... მადასტურებელ ძეგლთა დაცვის... და აღდგენის საშვილიშვილო საქმეში.

**ი. ბერიაშვილი,**
**ნ. შატაიძე,**
ჩვენი სპეც. კორესპონდენტები.

---

— **მე მგონია,** სპორტის არცერთი სახეობა ისე რომანტიკული არ არის, როგორც ტრეკზე ასპარეზობა, განსაკუთრებით კი — გამოდევნებით გუნდური რბოლა. შეხედეთ, როგორი ლამაზია მზეზე მოლაპლაპე მანქანების სრიალი. ეს კვარტეტები ისე მუშაობენ, თითქოს ერთ მთლიან ძალას მოუყვანია მოძრაობაში, — გვეუბნება თბილისის საკავშირო პირველობის უხუცესი სტუმარი, საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონი იგორ იპოლიტოვი, რომელიც ახლა აქ იმყოფება, როგორც „ტრუდის“ გუნდის მწვრთნელი. ეს ის იპოლიტოვია, რომელიც სამართლიანად ამაყობდა მრავალმხრივი სპორტსმენობით, ასე გასინჯეთ ციგურებით სწრაფრბენაშიც კი იყო ქვეყნის სამგზის ჩემპიონი.

— ჰო, ასეა, სპორტის გარეშე სიცოცხლე ვერ წარმომიდგენია. ჩემი ჰობი ველოსიპედია, მაგრამ ზამთარში ქროლვის შეგრძნება რომ მქონოდა, ციგურები შევიყვარე და...

... იპოლიტოვი საინტერესო მოსაუბრე გამოდგა. გვიამბო როგორი იყო საბჭოთა ველოსპორტის გარიჟრაჟი, როგორ ვითარდებოდა და საერთაშორისო სარბიელს იპყრობდა, როგორ უყვარდა თბილისის ძველ ველოდრომზე შეჯიბრებებში მონაწილეობა...

— იცით, აქ მუდამ ობიექტური მაყურებელი იყო, ღირსეული მეტოქენიც მყავდა, მათთან წაგებაც კი არ მწყინდა, — **თქვა და ვინ არ მოიგონა.**

— ახლა უკეთესი სტადიონი გაქვთ, შესანიშნავი ბიჭებიც გყავთ, მაგრამ **უფრო მეტია საჭირო.**

ვსაუბრობთ და სარბიელის ღერძის ირგვლივ ჩვენც ვბრუნავთ — საინტერესო ბრძოლამ გაგვიტაცა. კვარტეტები კვარტეტებს ცვლიან. ცხრა წყვილის დუელში დროის მიხედვით უნდა გამოვლინდეს მხოლოდ ოთხი წყვილი, რომლებიც ერთსაათიანი შესვენების შემდეგ ნახევარფინალებში გასასვლელად გააგრძელებენ ასპარეზობას.

# კვლავ რეკორდები

## სსრ კავშირის ჩემპიონატი ტრეკზე ასპარეზობაში

ყაზახეთის გუნდმა ყირგიზეთის კოლექტივს სძლია, რიგის უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლამ „ავანგარდს“ მოუგო. „დინამოსა“ და „ბურევესტნიკის“ მეორე კოლექტივების შეხვედრაში იმარჯვა „დინამომ“. მეოთხედფინალში პროფკავშირების ნაკრებიც გავიდა, რადგან უზბეკეთის უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლის გუნდს აჯობა. „სპარტაკის“ ცენტრალური საბჭოს ნაკრები კი ლენინგრადის ფიზკულტურის ინსტიტუტის ველოსიპედისტთა „მსხვერპლი“ გახდა.

აქამდე გამართულ გუნდურ რბოლებში სწორედ სტუდენტებმა აჩვენეს საუკეთესო შედეგი — 4 კმ. 4 წუთსა და 28,68 წამში გაიარეს (ეს საბოლოოდ დღის V მაჩვენებელი გამოდგა). სტარტზე ფავორიტებიც გამოიძახეს — სსრ კავშირის სამივე ნაკრები სამ სხვადასხვა ცდაში გამოდიოდა და სამივემ მოიპოვა შემდგომ ეტაპში რბოლის უფლება.

თბილისელი პ. ჩევარდოვი ქვეყნის II ნაკრებშია უ. ანსონსთან, ო. ლიადოვთან და ნ. მაკაროვთან ერთად, რომელმაც წინა დღით უკვე მოიპოვა ინდივიდუალურ რბოლაში ჩემპიონის ოქროს მედალი.

მეტოქემ — შეიარაღებულ ძალთა კვარტეტმა ვერ გაუძლო და 7,5 წამით ჩამორჩა. გამარჯვებულმა კი ლიდერის შედეგი გააუმჯობესა 4.27,14 (მანამდე წინ იყო სსრ კავშირის მესამე ნაკრები—4.28,02, რომელმაც „ბურევესტნიკის“ I გუნდი დაამარცხა).

ერთადერთი ბოლო წყვილი იყო, რომლის ორივე მონაწილე გუნდმა მოიპოვა ბრძოლის გაგრძელების უფლება, სსრ კავშირის I ნაკრებმა (ვ. ოსოკინი, ვ. პეტრაკოვი, ვ. ერლიხი, ი. პელიპენკო) კი დღის საუკეთესო შედეგი (4.26,07) აჩვენა და ამ კოლექტივებისთვის შესვენების ხანაც დადგა.

მანამ სარბიელი დარჩათ მათ, ვინც რეკორდების შტურმი განიზრახა. საამისო განაცხადი კი საკმაოდ მოგროვდა. ბევრი ამაოდ დაშვრა, მაგრამ რეკორდები მაინც გაუმჯობესდა: აშხაბადელმა ვ. რომანცოვმა ორჯერ შეუტია 200 მეტრზე სვლით თურქმენეთის რეკორდს — 11,10, რომელიც ვ. კუდრიაშოვს ეკუთვნის და მეორე ცდაზე მიზანს მიაღწია — 10,9; 1000 მეტრზე გიტში სსრ კავშირის ჩემპიონატის მესამე პრიზიორმა ი. რეინფელდსმა ამავე დისტანციაზე სვლით ლატვიის რეკორდზე (1.03,06) მიიტანა იერიში და უნებურად სსრ კავშირის რეკორდსმენიც გახდა — 1.02,03. ეს შედეგი 0,57 წამით აღემატება მოსკოველ ა. პოლეტაევის ძველ მიღწევას.

ვ. კუდრიაშოვი და ე. რაპპიც ამაოდ გაისარჯნენ. კუდრიაშოვმა 500 მეტრზე სვლით ვერ შეძლო გააუმჯობესება თბილისელი ი. ვოლკოვის საკავშირო რეკორდისა (28,8), რომელიც ვოლკოვმა თავის დროზე ს. კრავცოვს ჩამოართვა. ვერც რაპპმა დაიბრუნა აქ ორი დღის წინ დაკარგული მიღწევა 1000 მეტრზე გიტში, თუმცა მიზნამდე სულ რაღაც 0,03 წამი არ ეყო...

... მერე გამოდევნებით გუნდური რბოლა განახლდა. ნახევარფინალში გავიდნენ სსრ კავშირის სამივე ნაკრები და ლენინგრადის ფიზკულტურის ინსტიტუტის კვარტეტი. ქვეყნის მესამე გუნდმა სძლია პროფკავშირების ნაკრებს, მეორე გუნდმა — რიგის სპორტსმენებს, ხოლო პირველმა — „დინამოს“ მეორე გუნდიც დაამარცხა, თანაც ისე, რომ მეტოქე მთელი წრით (400 მ) ჩამოიტოვა და სსრ კავშირის რეკორდიც დამყარდა — 4.20, 24. (ძველი რეკორდი, რომელიც მონრეალში იყო ნაჩვენები 4.20,98 უდრიდა).

ნახევარფინალისტებმა გუშინ საღამოს გაითამაშეს მედლები. გუშინვე გაირკვა 100 წრეზე ჯგუფურ რბოლაში პრიზიორებიც.

**ო. გელაშვილი.**

• • •

**სურათზე:** გამოდევნებით გუნდურ რბოლაში შეჯიბრების მომენტი.



## ველოსპორტი

**კაუნასის** მიდამოებში გამართულ საგზატკეცილო ველორბოლაში 100 კილომეტრზე შეჯიბრება მოიგო სსრ კავშირის პირველმა ნაკრებმა, რომლის შემადგენლობაში ოლიმპიურ ჩემპიონებთან ა. პიკუუსთან (ტარტუ) და ვ. კამინსკისთან (მინსკი) ერთად გამოდიოდნენ ახალგაზრდები — ა. გუზავიჩიუსი (კაუნასი) და ა. მოკუსი (კლაიპედა). მათი დრო 2 საათი, 6 წუთი და 26,29 წამი. პიკუუსისა და მოკუსისთვის წლეულს ეს მეორე ოქროს ჯილდოა. მანამდე მათ წყვილთა რბოლა მოიგეს. მეორე ადგილზეა „ბურევესტნიკის“ ნაკრები, რომელიც ჩემპიონს 26,8 წამით ჩამორჩა. ბრინჯაოს მედლები მიიღეს პროფკავშირების ნაკრების წევრებმა — 2:07.26,41.

## უმასპინძლეს სამტრედიელებმა

**სამტრედიაში** გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის „ა“ კლასის პირველი ლიგის გუნდების ქუთაისის „ლოკომოტივისა“ და ლენინაკანის „შრომითი რეზერვების“ შეხვედრები ბალახის ჰოკეიში. პირველ მატჩში მასპინძლებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 1:0, მაგრამ განმეორებითი შეხვედრა სუსტად ჩაატარეს და ასეთივე ანგარიშით დამარცხდნენ.

**ლ. ფაჩუაშვილი.**
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

## ჟურნალისტის ჩანაწერით

### ✦ გორი

მაყურებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია თბილისის „დინამოს“ ვეტერან ფეხბურთელთა ამხანაგურმა შეხვედრამ გორში, ადგილობრივ „დილასთან“.

დინამოელები ორჯერ იყვნენ წინ (ორივე ბურთი გაიტანა ხუციშვილმა) და „დილამ“ ორივეჯერ შეძლო ანგარიშის გათანაბრება. ... ჯერ გააკეთა მელაძემ, ხოლო შემდეგ — ბუზალაძემ.

**ი. თევდორაშვილი.**
(ჩვენი კორ.).

### ✦ ბათუმი

**საინტერესოდ** მიმდინარეობს აჭარის „ტყავის ბურთის“ კლუბის პრიზის გათამაშება ნორჩ ფეხბურთელთა გუნდებს შორის.

უმცროს ასაკში წარმატებას მიაღწია ბათუმის № 1 საბინაო-საექსპლუატაციო კანტორის „მერცხალმა“ (მწვრთნელი მ. გაგუა), საშუალოში — ქობულეთის რაიონის სოფ. ქვედა ულიანოვკის „არწივმა“ (მწვრთნელი ჟ. გეგეჭკორი) და უფროსში — ბათუმის მე-... სკოლის გუნდმა (მწვრთნელი ... მჟავია).

შეჯიბრებაში თავი გამოიჩინეს ნორჩმა ფეხბურთელებმა ნ. ჯობაძემ, ი. მამალაძემ, გ. დვალიშვილმა, რ. კახიძემ, ვ. შანიძემ, გ. ბოკუჩავამ, ს. ქექელიძემ, გ. ლორიაშ..., თ. მაჭარაძემ, მ. კეშელავამ, ზ. პატარაიამ და სხვებმა.

**ო. მურვანიძე.**
(ჩვენი კორ.).

# წარმატებით გევლოთ...

დღეს თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონზე საერთაშორისო კატეგორიის მსაჯის, ლენინგრადელი ა. ივანოვის სასტვენის ხმაზე საასპარეზოდ გამოვლენ თბილისისა და მოსკოვის დინამოელი ფეხბურთელები, გაიმართება მე-18 ტურის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი.

თბილისის დინამოელები, როგორც ცნობილია, მიმდინარე გათამაშების ლიდერები არიან და ჩემპიონატის ოქროს მედლების რეალურ პრეტენდენტებად ითვლებიან. ჩვენი გუნდის თაყვანისმცემლები თავიანთ წერილებსა თუ დეპეშებში „ლელოს" რედაქციის სახელზე, წარმატებას უსურვებენ დინამოელებს.

გთავაზობთ ორ მათგანს, რომლებიც ოდესის „ჩერნომორეცთან" დინამოელთა გამარჯვების შემდეგ მივიღეთ:

**ძვირფასო რედაქციავ!**

**გთხოვთ** გადასცეთ თბილისის „დინამოს" ფეხბურთელებს ჩვენი გულითადი სალამი, მადლობა და პატივისცემა მთელს კოლექტივს, განსაკუთრებით მეკარე გოგიას და მცველებს ხინჩაგაშვილის მეთაურობით. გვიხარია კოსტავას მწვანე მინდორზე დაბრუნება. გვაღელვებს ყიფიანის, ხიზანიშვილის, რუხაძის ტრავმები. გისურვებთ შემდგომ წარმატებებს ყველა სტადიონზე!

**მოსკოვის „სპარტაკის" გულშემატკივრები.**

მოსკოვი.

• • •

**საბჭოთა** არმიის რიგებში ვმსახურობ მოძმე უკრაინაში. თბილისში ყოფნისას „დინამოს" ფეხბურთელთა ბევრი მატჩის მოწმე ვიყავი, ახლა კი შორიდან ვქომაგობ ჩემს საყვარელ გუნდს. მისი გამარჯვებები სიხარულს მანიჭებს, ძალასა და ენერგიას მმატებს, ხოლო წარუმატებლობას დიდად განვიცდი.

როცა თბილისის „დინამომ" სტუმრად გაიმარჯვა „ჩერნომორეცთან", მშვენიერ ხასიათზე დავდექი, მეორე დღეს ყველა დავალება პირნათლად შევასრულე, საღამოს კი ნაწილის უფროსისგან მადლობა დავიმსახურე. თბილისის „დინამოს" გამარჯვებამ ძალა და სიმხნევე შემმატა.

ძვირფასო რედაქციავ! წარმატება მინდა მივულოცო თბილისის „დინამოს" ფეხბურთელებს, ხოლო მათ გულშემატკივრებს — ყოველთვის კარგი თამაშის ხილვა, ობიექტურობა და მეტოქისადმი პატივისცემა და, ჩვენს „დინამოს" წელს ასეთივე შესანიშნავი ფინიში და ოქროს მედლები ჰქონოდეთ, გულშემატკივრებთან ერთად კი ახალი პრიზიც მოეპოვებინოთ!

**ვ. კაციტაძე.**

უკრაინის სსრ.

# პრიზი, რომელსაც ყველა ერთად უნდა დავეუფლოთ!

„ლელოში" ამ ბოლო ხნის მანძილზე წერილების მთელი სერია გამოქვეყნდა იმის თაობაზე, რომ სპორტისთვის, რომელიც ადამიანთა ჯანმრთელობის, გართობისა და აქტიური დასვენების უაღრესად მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენს, უცხოა წესრიგის დარღვევა, უხეშობა, უხამსი გამოხდომები.

ჩვენს გაზეთში წამოჭრილი ეს საჭირბოროტო საკითხი საყოველთაო განხილვისა და განსჯის საგნად იქცა. სპორტის მესვეურებს, ვეტერანებს, ჟურნალისტებს გამოეხმაურა მკითხველთა დიდი მასა, გამოეხმაურნენ ნამდვილი გულშემატკივრები. წესრიგის მოყვარული ადამიანები, რომლებიც მოითხოვენ ბუნებრივ, ელემენტარულ ამბებს: სრული დისციპლინა სუფევდეს სპორტულ ღონისძიებებზე, მაყურებლებშიც და სპორტსმენთა შორისაც. სტადიონზე მოსულმა მშრომელმა კაცმა უნდა სიამოვნებით დაისვენოს!

არავინ ამბობს, რომ ფეხბურ-

ლი რაოდენობაც სხვა ქალაქში იქნას გადატანილი.

აქ ისიც უნდა ითქვას, რომ სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის სპორტულ-ტექნიკურმა კომისიამ შეაჯამა საკავშირო ჩემპიონატის I წრისა და თასის გათამაშების მაჩვენებლები და დარღვევათა მხრივ თბილისის „დინამოს" XI ადგილი მიაკუთვნა. ეს ძალზე დაბალი მაჩვენებელია, მოთამაშეთა 1 გაძევება და 5 გაფრთხილება თბილისის „დინამოს" უდისციპლინოთა რიგებში აყენებს.

ახლა, როცა დაიწყო საფეხბურთო სეზონის მეორე, დასკვნითი ნაწილი, საგანგებო ყურადღებით უნდა ვიყოთ, რათა თბილისის „დინამოს" სტადიონზე არ მოხდეს არც ერთი დარღვევა — არც ტრიბუნაზე, არც მინდორზე. უკიდურესი მობილიზებით უნდა ვიყოთ ყველა — ფეხბურთელიც და მაყურებელიც, ყველამ უნდა შეიტანოს თავისი წვლილი საერთო საქმეში.

უწესო მაყურებელი სტუმარს, სულ ერთია მსაჯი იქნება ეს, თუ ფეხბურთელი. განა ეს კულტურული ადამიანის საქციელია? ნუთუ ქართველი კაცი ისე უნდა დაეცეს, რომ სტუმარს აგინოს?

ამ ბოლო დროს შესამჩნევად გაუმჯობესდა მსაჯობის ხარისხი, თუმცა ზოგჯერ ადგილი აქვს ხოლმე ცალკეულ შეცდომებს. და ამის გამო უნდა შეურაცხყო სტუმარი?

ჩემი აზრით, საჭიროა მკაცრი ზომების მიღება, გადამჭრელი სიტყვა უნდა თქვან ადმინისტრაციულმა ორგანოებმა, მილიციის მუშაკებმა უმალვე უნდა გამოავლინონ წესრიგის დამრღვევი პირები, სასტიკად აგებინონ მათ პასუხი ხულიგნობისთვის.

შეურიგებელი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ ყველა სახის წესრიგის დამრღვევს და ამით აღვიდგინოთ ობიექტური მაყურებლის რეპუტაცია".

„არსებობს გულშემატკივართა ერთი კატეგორია, — გვწერს თბილისელი გ. აბულაძე, — რომელსაც ჰგონია, რომ ტრიბუნიდან მსაჯისა ან მეტოქის მიმართ უხამსი სიტყვების წამოძახილი რაღაცით ამკობს მის საყვარელ გუნდს. პირიქით! მათი ენერგიული „გულმოდგინება" ხშირად ძვირად უჯდება ჩვენს გუნდსაც და მაყურებელსაც და საბოლოო ჯამში დათვურ სამსახურს უწევს მათ.

აი, „ვაიგულშემატკივართა" მეორე კატეგორიაც: მხურვალედ ესალმება ჩვენი ფეხბურთელების ყოველ მოხდენილ ფინტსა და სვლას, მაგრამ არ აპატიებს სულ პატარა შეცდომას თუ მარცხს. ფეხბურთელები თვითონაც გრძნობენ თავიანთ არასწორ თამაშს და ცდილობენ გამოასწორონ იგი. უცენზურო საჯარო წამოძახება აბნევს ფეხბურთელს, მით უფრო თუ იგი ახალგაზრდაა და, ფაქტიურად, ასუსტებს ჩვენი გუნდის ძალას.

ნუ დავივიწყებთ იმასაც, რომ სტადიონი დასვენების ერთ-ერთი ადგილია. ჩვენი ხალხი კეთილსინდისიერად შრომობს სამშობლოს საკეთილდღეოდ, გმობს ხავსმოდებულ უზნეობას და სრული შეგნებით მიდის სპორტულ ასპარეზობაზე, რათა ალალი შრომით დაღლილმა კუნთებმა შვება იგრძნოს, გულმა იხაროს საყვარელი გუნდის ლამაზი, შეწყობილი თამაშით და შემდეგ სულიერად დასვენებული, თუ გნებავთ, გამარჯვებული ღიმილით დაუბრუნდეს საყვარელ ოჯახს, სამუშაოს.

იქნებ, ასეთი ზომისთვისაც მივვემართა: მატჩის დამთავრების შემდეგ სტადიონზე ადგილობრივი რადიოთი გვემხილა წესრიგის დამრღვევ მაყურებელთა სახელები, რასაც აუცილებლად მოჰყვებოდა მათი საჯარო გაკიცხვა სასწავლებელსა თუ სამსახურში!

ძვირფასო გულშემატკივრებო, ქართული სპორტის თაყვანისმცემლებო, მხარში ამოვუდგეთ საყვარელ გუნდს, გავამხნევოთ სპორტსმენები ორთაბრძოლისას. დაე, მუდამ სამაგალითო იყოს ყველასთვის ჩვენი სტადიონის მაყურებელი".

რახან ახალი პრიზი „გუნდთან ერთად" კოლექტიურია, კოლექტიურადაც უნდა ვიბრძოლოთ მისი მოპოვებისთვის. ტრიბუნაზე მჯდომი ყველა მაყურებელი, ფეხბურთის თითოეული ჭეშმარიტი მოყვარული მოვალეა ყველაფერი გააკეთოს, რათა ადგილი არ ჰქონდეს დისციპლინის დარღვევის არცერთ შემთხვევას!

# წესრიგი, წესრიგი...

## სარედაქციო ფოსტის მიმოხილვა

●

[...]ის მატჩზე მოსული კაცი ისე [...]ჯდეს ტრიბუნაზე, თითქოს დიდი [თ]ეატრის მევიოლინეთა ანსამბლ[ი]ს კონცერტს უსმენდეს. სპორტი [ს]პორტია, მას თავისი ემოცი[ებ]ი აქვს. მაყურებელი შეჯიბრებას [მ]უდამ აღელვებით განიცდის, მაგრამ, აბა გვითხარით რა კავშირი [ა]ქვს ამ ნორმალურ აზარტთან მსა[ჯ]ის უშვერ გინებას და მინდორზე [ს]ხვადასხვა საგნების სროლას? არაფერი! საკუთარი გუნდის გამხნევება და წარმატების მიღწევისგან გამოწვეული სიხარულის გამოხატვა სრულიად თავისუფლად შეიძლება ისე, რომ სხვას არ მიაყენო [შ]ეურაცხყოფა. ამავე დროს უკმაყოფილების გამოსათქმელადაც არსებობს ისეთი ფორმები, რომლებიც არ გადადის ხულიგნობაში.

და მაშინ, როდესაც გამოჩენილი სპორტსმენები, სპორტის მოყვარულები დამგმობი წერილებით გამოდიან პრესაში, გარკვეული პროფილაქტიკური მუშაობა წარმოებს სტადიონებზე, მობილიზებული არიან მილიციის მუშაკები, სახალხო [რ]აზმები, ცალკეული უღირსი ადამიანები მაინც ახერხებენ უწესრიგობას და დისციპლინის დარღვევას. ასეთთა რიცხვი მცირეა, მაგრამ მათი დაუშვებელი საქციელი ერთობ თვალში საცემია.

[მიმდინარ]ეულს დიდი ფეხბურთის სხვა [ტ]რადიციულ ჯილდოებთან ერთად დაწესდა ახალი პრიზი „გუნდთან ერთად", რომელიც კომპლექსური ხასიათისაა: გუნდი — სტადიონი — მაყურებელი. ყველას გვინდა [ამ] პრიზის პირველი მფლობელი [თ]ბილისი იყოს, არ გვეგულება ისეთი ვინმე, რომელსაც გულით არ [ს]წადდეს მისი მოპოვება, თბილისის „დინამო" სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის I წრის შემდეგ ლიდერობს კიდეც ამ პრიზისთვის ბრძოლაში, მაგრამ სწორედ ზემოხსენებული ცალკეული უღირსი ადამიანების წყალობით ჩვენს სტადიონს ორი გაფრთხილება აქვს მიღებული და საკმარისია კიდევ ერთი ინციდენტი, რომ [იგი] გამოეთიშოს კონკურსს, ამას გარდა, შეიძლება ჩემპიონატის კალენდარული მატჩების გარკვეუ-

რედაქციაში კვლავ და კვლავ შემოდის წერილები, რომელთა ავტორები მოითხოვენ ბრძოლა გამოვუცხადოთ წესრიგის დამრღვევთ, უდისციპლინო ადამიანებს. აი, მაგალითად, რას გვწერენ **ა. ცინცაძე**, **ს. ჯაფარიძე** და **შ. დიასამიძე** ქობულეთის რაიონის სოფ. ზედა აჭყვადან:

**„მოუთმენლად ველით ჩვენი საყვარელი გუნდის გამოჩენას ცისფერ ეკრანებზე, ველით მის ვაჟკაცურ ბრძოლას და გვიხარია, რომ დინამოელები იბრძვიან ნამდვილი შემართებით, მონდომებით, მაგრამ თუ ხანდახან გუნდს არ გამოუვა თამაში, ან ვერ მოიგებს მატჩს, განა მოთამაშეებს შეურაცხყოფა და წყენა უნდა მივაყენოთ?**

**შეიძლება წარსულ წლებში იყო არაკვალიფიციური, მიკერძოებული მსაჯობის შემთხვევები, მაგრამ ამ ბოლო დროს ამ მხრივ საქმე გამოსწორდა. მსაჯიც ადამიანია და შეიძლება გამოეპაროს რამე, შეცდეს, ამიტომ უწმაწური სიტყვები, უცენზურო შეძახილები მის მიმართ დაუშვებელი ამბავია. ამით შეურაცხყოფას ვაყენებთ საკუთარ თავს, ქართველი კაცის სახელს!**

**ჩვენი აზრით, ურიგო არ იქნება თუ ფოტოსურათებს გადავუღებთ ასეთ ხულიგნებს და სტადიონზევე მოვაწყობთ ფოტოსტენდებს, რათა ყველამ ნახოს თუ ვინ არის სინამდვილეში წესრიგის დამრღვევი, ჩვენი შემარცხვენელი. ასეთები არ უნდა დავუშვათ სტადიონზე".**

სწორი, საქმიანი რჩევაა და თბილისის „დინამოს" სტადიონის დირექციამ იგი ყურად უნდა იღოს.

საინტერესო წერილი მოგვწერა ხობის რაიონის იურიდიული კონსულტაციის გამგემ **ვ. გოგინავამ**:

**„უყურებ შენი საყვარელი გუნდის თამაშს, გინდა განიცადო სიამოვნება და ამ დროს გესმის როგორ აგინებს შენს გვერდით ვიღაც**

# ასაზელეს [illegible] ჭადრაკი

# მწვრთნელი, სკოლა დ[illegible]





**ბაკურიანი, 29 ივლისი** (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). აქ დამთავრდა საქართველოს მოსწავლეთა პირველობები.

ჭაბუკთა შეჯიბრების დასკვნით, XV ტურში ლიდერებმა გ. გიორგაძემ (ქუთაისი) და გ. თორიამ (ზუგდიდი) გაიმარჯვეს და მათ შორის ნახევარქულიანი სხვაობა უცვლელი დარჩა.

ჩემპიონის სახელი მოიპოვა ქუთაისის 1-ლი საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლემ, ოსტატობის კანდიდატმა გია გიორგაძემ (მწვრთნელი — საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი დ. ჩირაძე) — 13 ქულა. II ადგილზეა ოსტატობის კანდიდატი გ. თორია (ზუგდიდი) — 12,5.

შემდეგ არიან დ. ჩაჩიბაია (თბილისი), მ. იაილიანი (სოხუმი), გ. ნადირაშვილი — 9,5-9,5, ა. ჩიკვაიძე, ბ. გოროზია — 8,5-8,5, დ. სახოკია (ოთხივე — თბილისი), ქ. შავგულიძე — 7,5-7,5, ე. ხელაძე (ორივე — ქუთაისი), გელა გიორგაძე (გულრიფში) — 7-7, გ. ბალათუროვი — 6, გ. მაღალაშვილი — 5, ი. ჩაჩუა (სამივე — თბილისი), — 3,5, ტ. მართალიშვილი (ქობულეთი) — 3, ს. ვისიჩი (თბილისი) — 1,5.

გოგონათა ტურნირის დასკვნით, XI ტურში ჩემპიონის ვინაობის საკითხი წყდებოდა ლ. ფაჩუაშვილისა (ქუთაისი) და ც. ქასოშვილის (გორი) პარტიებში. ფაჩუაშვილმა მოუგო თანაქალაქელ ე. ფახიროვას, ქასოშვილმა კი ვერ სძლია ლ. სადუნიშვილს (თბილისი), ყაიმს დასჯერდა.

I ადგილი და ჩემპიონის ტიტული მოიპოვა ისევ ქუთაისის 1-ლი საშუალო სკოლისა და საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელის დ. ჩირაძის მოწაფემ — მეათეკლასელმა ლიდა ფაჩუაშვილმა. მან 7 პარტია მოიგო და 4 ყაიმით დაამთავრა.

II ადგილი ხვდა ც. ქასოშვილს — 8,5, III — ხ. გურგენიძეს (რუსთავი) — 7. მერე მოდიან ლ. სადუნიშვილი — 7, ე. ფახიროვა, ნ. მუსერიძე (თბილისი), ნ. სიჭინავა (გალი) — 6,5-6,5, თ. ებრალიძე (თბილისი) — 5,5, მ. აროშია (ზუგდიდი) — 3, ლ. ავბაბიშვილი (რუსთავი) — 2,5, ი. ზანდავა (ქუთაისი), მ. ჩაჩიბაია (ცხაკაია) — 1,5-1,5.

ჩემპიონები და პრიზიორები დაჯილდოვდნენ დიპლომებით და სიგელებით.

**ზ. ჩაჩუა,**
**შეჯიბრების მსაჯი.**

• • •

**სურათებზე:** საქართველოს ჩემპიონები, ქუთაისელი ოსტატობის კანდიდატები გია გიორგაძე და ლიდა ფაჩუაშვილი.



# მესამე ადგილზე

**კაუნასში** დამთავრებულ პროფტექსასწავლებლების XV საკავშირო სპარტაკიადაზე სპორტულ ტანვარჯიშში წარმატებით გამოვიდნენ საქართველოს „შრომითი რეზერვების" ჭაბუკები. ისეთ ძლიერ გუნდებთან, როგორიცაა რუსეთის ფედერაციის, უკრაინის, ბელორუსიის, მოლდავეთის, სომხეთისა და ესტონეთის კოლექტივები, მათ საპრიზო ადგილი დაიკავეს.

პირველ დღეს ჩვენი ჭაბუკები ბელორუსიის გუნდთან ორ ქულას აგებდნენ და მეოთხე ადგილზე იყვნენ, მაგრამ მომდევნო დღეს ისინი არა მარტო დაეწიენ თავიანთ მთავარ მეტოქეს, არამედ 7 ქულით გაუსწრეს.

აი, გუნდური შედეგებიც: რსფსრ — 289,2 ქულა, სომხეთი — 283,45, საქართველო — 279,22, უკრაინა — 272,9, ბელორუსია — 272,02, ესტონეთი — 270,01, მოლდავეთი — 264,04..

საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში შედიოდნენ: სპორტის ოსტატობის პროგრამით მოასპარეზენი — ჯ. ალთუნაშვილი, ფ. ბოკერია, ბ. ფიოდოროვი, გ. ბარდაძე, სპორტის ოსტატობის კანდიდატის პროგრამით — ა. ხაჩატურიანი, პირველი თანრიგის პროგრამით — გ. თოთლაძე (მწვრთნელები — ა. გნოლიძე, ნ. ჭანტურია), რომელმაც პირველი ადგილი მოიპოვა — 104,3 ქულა. სპორტის ოსტატის კანდიდატთა შორის პირველი ადგილი დაიკავა, აგრეთვე, თბილისელმა ა. ხაჩატურიანმა (მწვრთნელი ჯ. კვანტალიანი) — 104,85 ქულა.

შეჯიბრების მესამე დღეს გათამაშდა პირველობა ცალკეულ იარაღებზე, სადაც კვლავ კარგად გამოვიდნენ ჩვენი ჭაბუკები. რგოლებზე ვარჯიშში ჩემპიონი გახდა ჯ. ალთუნაშვილი (მწვრთნელები — ნ. ბახუტაშვილი, ი. ონაშვილი), ბრინჯაოს მედალი წილად ხვდა გ. ბარდაძეს (მწვრთნელი ტ. ცისკაძე), ჯ. ალთუნაშვილი მესამე იყო ბჯენით ხტომებში.

დიდ წარმატებას მიაღწია ა. ხაჩატურიანმაც, რომელიც სპორტის ოსტატებთან ერთად იბრძოდა ფინალში. მან ორძელზე ვარჯიშში დაიკავა მეორე ადგილი, ტაიჭზე — მესამე, ღერძზე — მეოთხე.

აღსანიშნავია, რომ ჩვენი გუნდის წევრები ძირითადად უმაღლესი სპორტული დაოსტატების რესპუბლიკური სკოლის (დირექტორი მ. ჯუღელი) აღსაზრდელები არიან.

**მ. ზაქარეიშვილი.**

• • •

**სურათზე:** პროფტექსასწავლებლების საკავშირო სპარტაკიადის აბსოლუტური ჩემპიონები გ. თოთლაძე (მარცხნივ) და ა. ხაჩატურიანი.

ვ. ფიოდოროვის ფოტო.

## ჩემპიონის შეუპოვარი დაცვა

ბაგიოში (ფილიპინები) ვაჟთა შორის მსოფლიო პირველობაზე ა. კარპოვ — ვ. კორჩნოის მატჩის V პარტია, რომელიც 27 ივლისს გაიმართა, მეტად რთულ პოზიციაში გადაიდო. კორჩნოის ორი კუ სახიფათო იერიშით იმუქრებოდა.

გუშინწინ თამაშის განახლებისას კარპოვმა დაცვის აქტიური გეგმა განახორციელა: პაიკის შეწირვით, მერე ეტლების გაცვლით თამაში უკიდურესობამდე გაამძაფრა. მსომსოფლიოს ჩემპიონის მეფე თავად შეიჭრა ლაფის შუაგულში. კორჩნოი მსუბუქი ფიგურების ენდშპილში გადავიდა. მას თვალშესავლები უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ კარპოვის თავგამოდებულ წინაამდეგობას წააწყდა. ჩემპიონმა მხედარი გაიმეტა პაიკში, საყაიმო პოზიცია რომ შექმნა. კორჩნოი მოგების ეტიუდურ გზებს ეძებდა, მაგრამ კარპოვი ზუსტად თამაშობდა.

პარტია გადაიდო ამ პოზიციაში:

**თეთრები:** მეf2, ლd3, ეh1, კc2, კg3, პპ. a3, b4, d4, f3, h5.

**შავები:** მეh8, ლf6, ეd8, მd5, მf8, პპ. a7, b6, f7, g7, h6.

**პარტია ასე გაგრძელდა:**

**42. ... მh7 43. კe5 ლg5 44. ლ:f5 ლd2+ 45. მეg3 მhf6 46. ეg1 ეe8 47. კe4 მe7 48. ლh3 ეc8 49. მეh4 ეc1 50. ლg3 ე:g1 51. ლ:g1 მეg8 52. ლg8 მეf7 53. კg6+ მეe8 54. ლh3+ მეd5 55. კe4+ მ:e4 56. fe+ მე:e4 57. ლg4+ მეd3 58. ლf3+ ლe3 59. მეg4 ლ:f3+ 60. მე:f3 g6 61. კd6 მf5 62. მეf4 მh4 63. მეg4 gh+ 64. მე:h4 მე:d4 65. კb8 a5 66. კd6 მეc4 67. მე:h5 a4 68. მე:h6 მეb3 69. b5 მეc4 70. მეg5 მე:b5 71. მეf5 მეa6 72. მეe6 მეa7 73. მეd7 მეb7 74. კe7 მეa7 75. მეc7 მეa8 76. კd6 მეa7 77. მეc8 მეa6 78. მეb8 b5 79. კb4 მეb6 80. მეc8 მეc6 81. მეd8 მეd5 82. მეe7 მეe5 83. მეf7 მეd5 84. მეf6 მეd4 85. მეe6 მეe4 86. კf6 მეd4 87. მეd6 მეe4 88. კg7 მეf4 89. მეe6 მეf3 90. მეe5 მეg4 91. კf6 მეh5 და ამ მდგომარეობაში პარტია ხელმეორედ გადაიდო.**

აი, პოზიციაც: (თეთრები: მეe5, f6, პ. a3; შავები: მეh5, პპ. a4, b5). კორჩნოიმ ჩაიწერა თავისი 92-ე სვლა.

**გუშინ** გაიმართა VI პარტია, რომელიც უკვე 23-ე სვლაზე ყაიმით დამთავრდა.

მატჩის ანგარიში კვლავ უცვლელია — 0:0.

## ჭადრაკი

### ყაიმს დასჯერდნენ

**ვილნიუსი, 29 ივლისი** (ლეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). სსრ კავშირის ცენტრალური საჭადრაკო კლუბის ტრადიციულ XIX საერთაშორისო ტურნირში გუშინ XII ტურის შეხვედრები გაიმართა.

სსრ კავშირის ჩემპიონმა ბ. გულკომ დაამარცხა მ. დვორეცკი. მეორე ჩემპიონი ი. დორფმანი შეხვდა კ. კაიშაურს. ხუთსაათიანი თამაში დაუმთავრებელი დარჩა. კაიშაურმა თავი დააღწია მთავარ სიძნელეებს და შეწყვეტილ პოზიციაში ყაიმია მოსალოდნელი.

გ. ლებრედომ (კუბა) სძლია ლიტვის ჩემპიონს გ. პეშინას.

ლიდერებმა თავი აარიდეს დიდ გართულებებს და ყაიმზე შეთანხმდნენ: ი. ლეხტინსკი (ჩეხოსლოვაკია) — ა. ბელიავსკი 25-ე სვლაზე, ვ. ტუკმაკოვი — ტ. პეტროსიანი 35-ზე. დაზავდნენ აგრეთვე ს. რეშევსკი (აშშ) — მ. დამიანოვიჩი (იუგოსლავია) და ლ. ესპიგ (გდრ) — ვ. მიკენასი.

მ. ჩიბურდანიძე — ი. ჩომის პარტია გადაიდო უნგრელი დიდოსტატის მცირე უპირატესობით.

12 ტურის შემდეგ ა. ბელიავსკის 8,5 ქულა აქვს, ვ. ტუკმაკოვს — 8 ქულა და 1 გადადებული პარტია, ტ. პეტროსიანს, ბ. გულკოს, ი. ლეხტინსკის — 7,5-7,5.

• • •

**სურათზე:** მსოფლიოს ექს-ჩემპიონის ტ. პეტროსიანისა და მაია ჩიბურდანიძის შეხვედრა.

ი. კინასის (ვილნიუსი) ფოტო.




## დაიწყო მე-18 ტური

**28 ივლისს** მოსკოვში შედგა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის კალენდარული მატჩი ალგილომპრივ ცსკა-სა და ტაშკენტის „პახთაქორს“ შორის. ანგარიშით 3:1 გაიმარჯვა ცსკა-მ. არმიელთაგან 2 ბურთი გაიტანა ნაზარენკომ (1 — პენალტით) და ერთი [illegible], ხოლო ტაშკენტელთაგან — ბაკანოვმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფეხბურთი

### პირველი ლიგა

#### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 30 ივლისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „კრ. სოვეტ.“ | 21 | 11 | 7 | 3 | 27—14 | 29 |
| ასკ რ. | 21 | 8 | 11 | 2 | 37—21 | 27 |
| „დინამო“ მნ. | 20 | 10 | 6 | 4 | 29—19 | 26 |
| „კარპატი“ | 19 | 10 | 5 | 4 | 29—17 | 25 |
| „ყუბანი“ | 21 | 9 | 7 | 5 | 29—19 | 25 |
| „ნისტრუ“ | 21 | 9 | 7 | 5 | 27—19 | 25 |
| „ტორპედო“ | 20 | 8 | 6 | 6 | 24—20 | 22 |
| „კუზბასი“ | 21 | 8 | 6 | 7 | 23—23 | 22 |
| „ქალვირისი“ | 20 | 6 | 10 | 4 | 24—20 | 22 |
| „ტავრია“ | 21 | 7 | 7 | 7 | 26—21 | 21 |
| „თერგი“ | 21 | 8 | 4 | 9 | 27—32 | 20 |
| „სპარტ.“ ი.-ფ. | 21 | 8 | 4 | 9 | 23—31 | 20 |
| ასკ ოდ. | 21 | 6 | 6 | 9 | 23—28 | 18 |
| „შინიკი“ | 18 | 6 | 6 | 6 | 14—16 | 18 |
| „დინამო“ ლ. | 21 | 5 | 8 | 8 | 27—32 | 18 |
| „პამირი“ | 21 | 4 | 10 | 7 | 19—20 | 18 |
| „მეტალურგი“ | 21 | 4 | 10 | 7 | 19—27 | 18 |
| „ურალმაში“ | 21 | 5 | 6 | 10 | 14—26 | 16 |
| „კოლხოზჩი“ | 21 | 3 | 6 | 12 | 16—34 | 12 |
| „სპარტ.“ ორ. | 21 | 3 | 4 | 14 | 14—32 | 10 |

### მეორე ლიგა

#### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 30 ივლისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ზვეზდა“ | 25 | 15 | 4 | 6 | 38—16 | 34 |
| „შირაკი“ | 25 | 12 | 8 | 5 | 46—26 | 32 |
| „ავტომობ.“ | 26 | 13 | 3 | 10 | 35—35 | 29 |
| „კოტაიკი“ | 25 | 13 | 3 | 9 | 33—33 | 29 |
| „ტორპედო“ | 25 | 11 | 7 | 7 | 31—22 | 29 |
| „დინამო“ ზ. | 25 | 10 | 8 | 7 | 31—22 | 28 |
| „ტურბინა“ | 25 | 12 | 3 | 10 | 30—34 | 27 |
| „გაზოვიკი“ | 25 | 11 | 5 | 9 | 33—25 | 27 |
| „გურია“ | 25 | 10 | 7 | 8 | 34—29 | 27 |
| „ყარაბახი“ | 25 | 10 | 7 | 8 | 30—23 | 27 |
| „ზენიტი“ | 25 | 8 | 11 | 6 | 29—23 | 27 |
| „რუბინი“ | 25 | 10 | 6 | 9 | 30—27 | 26 |
| „დრუჟბა“ | 25 | 11 | 3 | 11 | 33—26 | 25 |
| ფიზ. ინსტ. | 25 | 8 | 9 | 8 | 24—22 | 25 |
| „დინამო“ კრ. | 25 | 10 | 4 | 11 | 31—29 | 24 |
| „გასტელო“ | 25 | 10 | 4 | 11 | 27—33 | 24 |
| „დინამო“ ბ. | 25 | 9 | 6 | 10 | 26—25 | 24 |
| „პროგრესი“ | 25 | 10 | 3 | 12 | 24—34 | 23 |
| „ლოკომოტ.“ | 25 | 9 | 5 | 11 | 35—41 | 23 |
| „ურალეცი“ | 26 | 9 | 5 | 12 | 31—36 | 23 |
| „დინამო“ ს. | 25 | 8 | 6 | 11 | 34—41 | 22 |
| „დილა“ | 25 | 5 | 11 | 9 | 24—27 | 21 |
| „ზაზარი“ | 25 | 7 | 4 | 14 | 23—40 | 18 |
| „არაზი“ | 25 | 2 | 4 | 19 | 16—59 | 8 |

**გუშინ** თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა თბილისისა და მოსკოვის დინამოელთა სათადარიგო შემადგენლობის მატჩი, რომელიც დამთავრდა ფრედ — 0:0.

თბილისელები ასეთი შემადგენლობით თამაშობდნენ: მამინაშვილი, ხიზანიშვილი, დურდიაძე, თავაძე (ჯოხაძე), მუჯირი, მინაშვილი, გოგოლაძე, კოპალეიშვილი, მუჩლაძე (აფხაზავა), ბაზაზაშვილი, ჩელებაძე.

## კალათბურთი

### ვინ იყო ლილიან რონკეტი?

ევროპის ქვეყნების თასის მფლობელთა თასის გათამაშება ლილიან რონკეტის სახელს ატარებს. რატომ დაარქვეს ამ თასს ლილიან რონკეტის სახელი? ვინ იყო იგი და რა დამსახურება მიუძღვის მას კალათბურთის წინაშე? აი რას წერს ამის შესახებ ბულგარეთის „ნაროდენ სპორტი“.

ლილიან რონკეტი მრავალი წლის მანძილზე იტალიური კალათბურთის ვარსკვლავი და ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი კალათბურთელი იყო. მან „სკუადრა აძურას“ შემადგენლობაში 82 მატჩი ჩაატარა. მონაწილეობდა ევროპის ექვს ჩემპიონატში. 1960 წლის ჩემპიონატი ბულგარეთში უკანასკნელი იყო ლილიან რონკეტისათვის. იგი 40 წლამდე განაგრძობდა თამაშს შვეიცარულ კლუბ „რირი მენდრიზიოში“. 1974 წელს რონკეტი გარდაიცვალა მძიმე ავადმყოფობის შედეგად. ამავე წელს იტალიის კალათბურთის ფედერაციამ ლილიან რონკეტის პატივსაცემად და იმ ხანგრძლივი სპორტული მოღვაწეობისათვის, რომელსაც ის ოთხი ათეული წლის მანძილზე ეწეოდა ევროპის საკალათბურთო მოედნებზე, ახლად შექმნილ თასების მფლობელთა თასს ლილიან რონკეტის სახელი უწოდა. თასის პირველი მფლობელი გახლდათ ლენინგრადის „სპარტაკი“. 1978 წელს თასი დაისაკუთრა ბულგარეთის საკლუბო გუნდმა „ლევსკი-სპარტაკმა“. საბჭოთა გუნდები თასის წლევანდელ გათამაშებაში არ მონაწილეობდნენ.

მ. კალანდაძე.

## „სპორტლოტო“

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „სპორტლოტოსა“ და „სპორტლოტო-2“-ის ოცდამეათე ტირაჟისა, რომელიც 26 ივლისს მოსკოვში მოეწყო.

**„სპორტლოტო“:** ხუთი ციფრის გამოცნობისთვის მოგება 5000 მანეთია, ხუთისთვის (შეღავათიანი ბურთულით) — 151, ოთხისთვის — 126, სამისთვის — 4.

**„სპორტლოტო-2“:** ხუთი ციფრის გამოცნობისთვის მოგება 2412 მანეთია, ხუთისთვის (შეღავათიანი ბურთულით) — 69, ოთხისთვის — 44, სამისთვის — 3.

მოგებული თანხა გაიცემა 6 აგვისტოდან 6 სექტემბრის ჩათვლით.

**გუშინ** მოსკოვში მოეწყო „შაბათის სპორტლოტოს“ მორიგი, ოცდამეათე ტირაჟი.

აი, იღბლიანი ციფრები და სახეობები:

**პირველი:** 7 (ველოტრეკი), 11 (ტანვარჯიში), 16 (საცხენოსნო სპორტი), 28 (მშვილდოსნობა), 36 (შაიბიანი ჰოკეი).

**მეორე:** 1 (კალათბურთი), 3 (ბოქსლეი), 7 (ველოტრეკი), 9 (წყალბურთი), 17 (ციგურები).

## მხოლოდ თბილისელები...

თბილისში დამთავრდა საქართველოს პირად-გუნდური პირველობა ჭაბუკთა და იუნიორთა შორის თანამედროვე ხუთჭიდში. საასპარეზოდ გამოვიდნენ „სპარტაკის“, „ბურევესტნიკისა“ და „დინამოს“ I და II გუნდები. სამწუხაროდ, შეჯიბრებაში მხოლოდ თბილისელები მონაწილეობდნენ. ეს არცაა გასაკვირი, რადგან რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და რაიონებში სპორტის ამ სახეობაში სასწავლო ჯგუფები დღემდე არაა გახსნილი.

საერთო გუნდურ ჩათვლაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: „დინამო-I“ — 17750 ქულა, „სპარტაკი“ — 16762, „ბურევესტნიკი“ — 16688.

## თანამედროვე ხუთჭიდი

იუნიორთა შორის ჩემპიონის წოდება მოიპოვა სპარტაკელმა ი. მოროზოვმა — 4988 ქულა, მეორე და მესამე საპრიზო ადგილებზე დინამოელები ფ. პარტნოვი (4580) და გ. ბატრაკოვი (4518) გავიდნენ. ჭაბუკებში უძლიერესი იყო ზ. სომხიშვილი („დინამო-I“) — 4746 ქულა, მეორე საპრიზო ადგილი ვ. პოლიაკოვს („ბურევესტნიკი“, 4324) ერგო, ხოლო მესამე — ვ. ტრუბაევს („სპარტაკი“, 4290).

გ. ამირიძე.

## გერმანული იუმორი

### დიდება

ერთი ამერიკელი კინორეჟისორი საუბარს ატარებდა კანდიდატებთან, რომლებსაც თავისი ფილმის პატარა როლს აცნობდა. როლი ფეხბურთის თამაშის ცოდნას მოითხოვდა.

სხვა კანდიდატებთან ერთად მოვიდა სპორტული ალნაგობის კაცი.

— თქვენი სახელი? — შეეკითხა რეჟისორი.

— უილიამი.

— გვარი?

— შექსპირი.

რეჟისორმა გაკვირვებით შეხედა მოსაუბრეს.

— ოჰო! — თქვენ ძალიან ცნობილი სახელი და გვარი გქონიათ!

— არაფერია საკვირველი, — უპასუხა ოდნავ გაწითლებულმა კანდიდატმა, — უკვე ორი წელიწადია კალიფორნიის ნაკრებში ვთამაშობ.

### კარგი ვარჯიში

ორი იტალიელი საუბრობდა.

— გავიგე, კარგი მოცურავე ყოფილხარ.

— დიახ, რამდენიმე წლის განმავლობაში ვენეციაში წერილების დამტარებელი ვიყავი.

გერმანულიდან თარგმნა ბესიკ ლამბაშიძემ.

რედაქტორი ა. ბასილაია.

## ძვირფასო მომხმარებლებო!

მაღაზიები **„დინამო“** და **„შევარდენი“** გთავაზობთ თბილისის ექსპერიმენტული ფაბრიკისა და ფაბრიკა „დინამოს“ პროდუქციას. ამ მაღაზიებში გამოყოფილია სპეციალური კუთხეები, სადაც გამოფენილია და იყიდება ფაბრიკა „დინამოსა“ და ექსპერიმენტულ ფაბრიკაში დამზადებული სპორტული საქონელი: კოსტუმები, „ოლიმპიადა-80“-ის ემბლემიანი მაისურები, საცურაო კოსტუმები, ქურთუკები...

მაღაზიაში დანერგილია მომსახურების პროგრესული მეთოდი. ყოველი თვის ბოლო სამშაბათს — მაღაზია „დინამოში“, ხოლო თვის ბოლო ოთხშაბათს — „შევარდენში“ ფაბრიკების წარმომადგენლები ხვდებიან მომხმარებლებს, რათა გაეცნონ მათ პრეტენზიებს, სურვილებს, მოთხოვნებს.

მაღაზიებში მომხმარებლებისგან იღებენ შეკვეთებს არასტანდარტული ზომების სპორტულ ტანსაცმელზე.

მაღაზია „შევარდენში“ მუშაობს ცნობათა ბიურო, რომლის მეშვეობით გაიგებთ სად შეიძლება სასურველი საქონლის შეძენა.

ცნობათა ბიუროს ტელეფონის ნომერია 36-35-38.

შეგახსენებთ მაღაზიების მისამართებს: **„დინამო“** — რუსთაველის გამზ. 50; **„შევარდენი“** — პეკინის 11.

**რესპუბლიკური საგიუმო-სავალო გაერთიანება „სპორტსაქონელი“.**

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096. თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-11, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-57; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26, სამხატვრო — 93-97-59; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-98-84; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-51.
ИНДЕКС 66435
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა თბილისი, ლენინის ქ. № 14.
უე 13116